საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1623
11/05/2022

1623-21-2-202205111352

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8759 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაკურციხის მიმდებარედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ხიდის გაბარიტების შესახებ;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა და გამოსაყენებელი ტექნიკა;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო მიზნით წყლის გამოყენებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ქარიანი და ცხელი ამინდის შემთხვევაში გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის დანამვა, თუმცა, წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია თუ საიდან მოხდება ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება, ასევე, დაზუსტებას საჭიროებს აღებული წყლის რაოდენობისა და დაგროვების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია რომ საპროექტო ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, თუმცა, 1.8.1 თავში გათვალისწინებულ შემარბილებელ ღონისძიებებში მითითებულია, რომ „მანქანის ბორბლების სარეცხი აღიჭურვება წყალშემკრებით და სალექარით. მანქანების ნარეცხი წყლის შეგროვების ავზი გასუფთავებული არა უგვიანეს მისი 75%-ით შევსებისა“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვის, ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და

შემდგომი მართვის საკითხი, ასევე აღნიშნული მიზნით წყალაღების შესახებ ინფორმაცია;

- 1.4 თავში აღნიშნულია, რომ მშენებლობისათვის საჭირო მანქანა მექანიზმების საწვავით მომარაგება მოხდება ავტოცისტერნის მეშვეობით. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარი) განთავსების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო